

დარჩენილი დრო 0:59:56

დამალე

კითხვა **1**

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

რომელი მოსაზრებაა სწორი?

- (1) სტრატეგიულ ინფორმაციას, ძირითადად ორგანიზაციის ზედა რგოლის ხელმძღვანელი პერსონალი იყენებს.
- (2) მწარმოებლურობის მაჩვენებლები ტაქტიკური ინფორმაციის მაგალითებია.
- (3) ოპერატიული ინფორმაცია მის ძირითად მომხმარებელს ხშირად სჭირდება.

- ☐ a. (1), (2) და (3)
- ☐ b. მხოლოდ (1) და (2)
- ☐ c. მხოლოდ (1) და (3)
- ☐ d. მხოლოდ (2) და (3)

რეჟინალდი ერთ-ერთი ქარხნის M საწარმოო ქვედანაყოფის მენეჯერია რომელსაც ათი სხვა საწარმოო ქვედანაყოფი აქვს. ის იღებს ყოველთვიურ ინფორმაციას სადაც ერთმანეთთან შედარებულია M ქვედანაყოფის გეგმიური და ფაქტობრივი დანახარჯები. M ქვედანაყოფის შემდეგ ყველა პროდუქცია გაივლის ქარხნის სხვა ქვედანაყოფებს, რათა პროდუქტმა მომხმარებელთან გაგზავნამდე საბოლოო სახე მიიღოს. რეჟინალდი არ იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს რომელიც ეხება M ქვედანაყოფის კაპიტალურ დანახარჯებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ახასიათებს რეჟინალდის როლს M ქვედანაყოფში?

- ☐ a. მოგების ცენტრის მენეჯერი
- ☐ b. შემოსავლების ცენტრის მენეჯერი
- ☐ c. ინვესტიციების ცენტრის მენეჯერი
- ☐ d. დანახარჯთა ცენტრის მენეჯერი

კითხვა **3**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

რომელი მოსაზრება არ არის სწორი?

- ☐ a. მმართველობითი აღრიცხვა სათანადო ინფორმაციას უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მისაღებად, დასაგეგმად, კონტროლის განსახორციელებლად და კომპანიის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.
- ☐ b. დანახარჯების აღრიცხვის გამოყენება შესაძლებელია მარაგის შესაფასებლად, მაგრამ მხოლოდ შიდა საანგარიშგებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- ☐ c. ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია შიდა საანგარიშგებო მიზნებისათვის.
- ☐ d. ყოველდღიური შაბლონური ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

კითხვა **4**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

შემდეგი მოსაზრებები ეხება სტრატეგიულ დაგეგმვას:

- (1) იგი ეხება რაოდენობრივ და ხარისხობრივ საკითხებს.
- (2) მას ძირითადად ახორციელებენ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პერსონალის შუალედური დონეები.
- (3) ის უპირატესად ხანგრძლივ ვადასთან არის დაკავშირებული.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა სწორი?

- ☐ a. მხოლოდ (1) და (3)
- ☐ b. მხოლოდ (2) და (3)
- ☐ c. (1), (2) და (3)
- ☐ d. მხოლოდ (1) და (2)

კითხვა **5**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

შემდეგი ინფორმაცია ეხება საიმედო ინფორმაციის თვისებებს:

- (1) იგი უნდა ეცნობოს შესაბამის პიროვნებას.
- (2) იგი ყოველთვის მთლიანად ზუსტი უნდა იყოს გამოყენებამდე.
- (3) ის გასაგები უნდა იყოს მიმღებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მოსაზრებაა სწორი?

- ☐ a. მხოლოდ (1) და (3)
- ☐ b. მხოლოდ (2) და (3)
- ☐ c. (1), (2) და (3)
- ☐ d. მხოლოდ (1) და (2)

კითხვა **6**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ახასიათებს სისტემური შერჩევის არსს?

- ☐ a. პოპულაციის ყველა ელემენტს აქვს შერჩევაში მოხვედრის თანაბარი შანსი.
- ☐ b. ინტერვიუერების მიერ შერჩეულნი არიან სხვადასხვა სტრატეგიის წევრები წინასწარ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.
- ☐ c. შერჩეულია პოპულაციის ერთი განსაზღვრული ქვედანაყოფის ყველა ელემენტი.
- ☐ d. შერჩეულია პოპულაციის ყოველი n -ური წევრი.

კითხვა **7**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ფირმა რომელიც ბოთლებში შამპანურს ასხავს, არჩევს შევსებულ ბოთლებს შემოწმებისათვის. გამოყენებული პროცედურა გულისხმობს შემთხვევითი საწყისი x -წერტილის (x -ური შევსებული ბოთლის) და ყოველი ბოთლის y ინტერვალში შერჩევას შემოწმებისათვის. რა სახელწოდებით არის ცნობილი ასეთი შერჩევა?

- ☐ a. სტრატეგიცირებული
- ☐ b. სისტემური
- ☐ c. მრავალბიჯიანი
- ☐ d. შემთხვევითი

კითხვა **8**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ინფორმაციის შეგროვებისას თქვენ გამოიყენებთ შიდა და გარე ინფორმაციის წყაროებს. ჩამოთვლილთაგან, რომელია გარე ინფორმაციის მაგალითი?

- (1) სავაჭრო ცნობარი
- (2) გაყიდვების წარმომადგენლის ცოდნა
- (3) საკრედიტო სააგენტოს ანგარიში
- (4) საბანკო ცნობარი ვაარიანტები:

- ☐ a. მხოლოდ (2),(3) და (4)
- ☐ b. მხოლოდ (1), (3) და (4)
- ☐ c. მხოლოდ (2)
- ☐ d. (1),(2),(3) და (4)

კითხვა **9**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ფირმამ გამომგონებელს უნდა გადაუხადოს \$0,50 როიალტი გამოგონების ერთეულისთვის, რომელსაც ის აწარმოებს და ყიდის. როიალტის ხარჯი ფირმის ანგარიშში კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც:

- ☐ a. პირდაპირი გასავალი
- ☐ b. რეალიზაციის გასავალი
- ☐ c. საწარმოო ზედნადები ხარჯი
- ☐ d. ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯი

კითხვა **10**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი უნდა იყოს შესული მარაგების ღირებულების გამოთვლაში?

- (1) პირდაპირი მასალები.
- (2) პირდაპირი სამუშაო ძალა.
- (3) ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯები.
- (4) საწარმოო ზედნადები ხარჯები.

- ☐ a. (1), (2) და (3)
- ☐ b. (1), (2) , (3) და (4)
- ☐ c. (1), (2) და (4)
- ☐ d. მხოლოდ (1) და (2)

კითხვა **11**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ჩვეულებრივ, რომელი კლასიფიცირდება ეტაპობრივ დანახარჯებად?

- ☐ a. ნედლეული და მასალა.
- ☐ b. კომუნალური გადასახადები.
- ☐ c. სატელეფონო ხარჯები.
- ☐ d. ზედამხედველის ხელფასები.

კითხვა **12**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი შეიძლება იყოს დანახარჯის ობიექტი, გარდა:

- ☐ a. დანახარჯთა ცენტრი
- ☐ b. მომხმარებელი
- ☐ c. მენეჯერი
- ☐ d. პროდუქტი

კითხვა **13**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამონაგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

მომდევნო წელს იმ საწყობის საიჯარო ქირა გაიზრდება \$12 000- დან \$14 000-მდე, რომელიც გამოიყენება მზა პროდუქციის შესანახად. საიჯარო ქირის ზრდა მომდევნო წელს წარმოებული მარაგის და საწყობში არსებული მარაგის ღირებულებას:

- ☐ a. გაზრდის \$14 000 -ით.
- ☐ b. გაზრდის \$2000-ით.
- ☐ c. არ შეიცვლება.
- ☐ d. შეამცირებს \$14 000 -ით.

კითხვა **14**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამონაგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ტიპის დანახარჯებიდან:

- (1) ცვლადი დანახარჯი
- (2) მუდმივი დანახარჯი
- (3) ეტაპობრივად მუდმივი დანახარჯი
- (4) ნახევრად ცვლადი დანახარჯი
- (5) პირდაპირი დანახარჯი
- (6) არასაწარმოო დანახარჯი

რომელი დანახარჯების კლასიფიცირებაა შესაძლებელი ქცევის მიხედვით?

- ☐ a. (2),(3),(5) და (6)
- ☐ b. (1),(2),(5) და (6)
- ☐ c. (1),(2),(3) და (4)
- ☐ d. (1), (3), (4) და (5)

კითხვა **15**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

გრაფიკულად გამოსახულია პროგნოზირების მოდელი, რომელიც ეყრდნობა შემდეგ განტოლებას: $Y=a+bx$. გრაფიკის გადაკვეთის წერტილი არის \$7 788. თუ მთლიანი დანახარჯები არის \$14 520 და x -ი არის 3 300, მაშინ გრადიენტის მნიშვნელობა იქნება:

- ☐ a. 2,04
- ☐ b. 4,40
- ☐ c. 3,36
- ☐ d. -2,04

კითხვა **16**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

არაპირდაპირი მასალების გაცემის ამსახველი ორადი ბუღალტრული გატარება იქნება:

- ☐ a. დ. დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშის მაკონტროლებელი ანგარიში
კ. საწარმოო ზედნადები ხარჯების მაკონტროლებელი ანგარიში
- ☐ b. დ. მასალების მაკონტროლებელი ანგარიში
კ. მზა პროდუქციის მაკონტროლებელი ანგარიში
- ☐ c. დ. დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშის მაკონტროლებელი ანგარიში
კ. მასალების მაკონტროლებელი ანგარიში
- ☐ d. დ. საწარმოო ზედნადები ხარჯების მაკონტროლებელი ანგარიში
კ. მასალების მაკონტროლებელი ანგარიში

კითხვა **17**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

რომელი მოსაზრებაა სწორი:

- ☐ a. მუშაკს დროითი ხელფასი ეძლევა შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით;
- ☐ b. დროითი ხელფასი მუშაკს ეძლევა ნამუშევარი დროის მიხედვით
- ☐ c. სანარდო ხელფასი პრაქტიკაში არ გამოიყენება
- ☐ d. სანარდო ხელფასი მუშაკს ეძლევა ნამუშევარი საათების მიხედვით;

კითხვა **18**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

პირდაპირი ხელფასის დარიცხვა აღირიცხება:

- ☐ a. დ-საწარმოოზედნადები ხარჯები;
კ- გასაცემი ხელფასი
- ☐ b. დ-დაუმთავრებელი პროდუქცია;
კ- გასაცემი ხელფასი
- ☐ c. დ-დაუმთავრებელი პროდუქცია;
კ-მოგება/ზარალი
- ☐ d. დ-გასაცემი ხელფასი;
კ-დაუმთავრებელი პროდუქცია;

კითხვა **19**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

რომელი მოსაზრებაა არასწორი?

- ☐ a. ძირითადი მუშები ის მუშები არიან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ორგანიზაციის პროდუქციის შექმნაში;
- ☐ b. არაპირდაპირი შრომითი დანახარჯები წარმოადგენს ზედნადებ ხარჯებს და მოიცავს დამხმარე მუშებისთვის გადახდილ ხელფასს;
- ☐ c. პირდაპირი შრომითი დანახარჯი პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ძირითადი დანახარჯია და მოიცავს ძირითადი მუშებისთვის გადახდილ ძირითად ხელფასს;
- ☐ d. არაპირდაპირი ხარჯებში არ შედის ძირითადი მუშებისათვის გადახდილი პრემია, დანამატი ზენორმატიულად ნამუშევარი საათებისათვის და მოცდენების ანაზღაურება.

კითხვა **20**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

მომსახურების დანახარჯთა ცენტრის მუდმივი ზედნადები ხარჯების ხელახალი გადანაწილების ძირითადი მეთოდი გამოიყენება მაშინ ,როდესაც:

- ☐ a. თითოეული მომსახურების დანახარჯთა ცენტრის დანახარჯები ნაწილდება მხოლოდ წარმოების დანახარჯთა ცენტრებზე;
- ☐ b. მომსახურების დანახარჯთა ერთ-ერთი ცენტრი ემსახურება მე-2 მომსახურების და წარმოების დანახარჯთა ცენტრებს;
- ☐ c. მომსახურების ორი განყოფილება ერთმანეთისთვის მუშაობს;
- ☐ d. მომსახურების განყოფილებები შეიცავს მრავალჯერად გადანაწილებას სანამ მთლიანი ზედნადები ხარჯები არ გადანაწილდება.

რომელი მოსაზრებაა სწორი:

- ☐ a. შრომის ანაზღაურების დროის განაკვეთზე დაფუძნებული სისტემა მოიცავს დიფერენცირებულ სისტემას
- ☐ b. შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემის დროს ფიქსირებული თანხა გადაიხდება წარმოებულ ერთეულებზე
- ☐ c. შრომის ანაზღაურების დროის განაკვეთზე დაფუძნებული სისტემის დროს ფიქსირებული თანხა გადაიხდება წარმოებულ ერთეულებზე
- ☐ d. შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემის დროს მომუშავეს უხდიათ საათობრივი, დღიური, კვირეული ან თვიური ძირითადი განაკვეთით.

კითხვა **22**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამონგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 3.00

v1 (latest)

მოცემულია საანგარიშო პერიოდის ინფორმაცია მასალების მარაგების მოძრაობის შესახებ:

თარიღი	ოპერაცია	ერთეული	ერთეულის ღირებულება
04.05.2021	შეძენა	200	\$4,50
07.05.2021	შეძენა	400	\$4,90
08.05.2021	გაცემა	700	

თუ კომპანია იყენებს მარაგების შეფასების FIFO მეთოდს და ნაშთი 1 მაისისთვის იყო 300 ერთეული, ერთეულის ღირებულება \$ 4,00 , გამოთვალეთ:

07.05.2021	მარაგის ნაშთის ღირებულება (\$)	
08.05.2021	გაცემული მარაგის თვითღირებულება (\$)	
08.05.2021	მარაგის ნაშთის ღირებულება (\$)	

ქარხანაში ორი საწარმოო დანახარჯთა ცენტრია -P და Q და ორი მომსახურების დანახარჯთა ცენტრი - X და Y. მონაცემები, თითოეულ ცენტრზე მიკუთვნებული და განაწილებული მთლიანი ზედნადები ხარჯების შესახებ, შემდეგი სახისაა:

P	Q	X	Y
\$95000	\$82000	\$46000	\$30000

X და Y მომსახურების დანახარჯთა ცენტრების დანახარჯები ნაწილდება შემდეგი პროპორციით:

	P	Q	X	Y
X მომსახურების	40%	60%	-	-
Y მომსახურების	30%	70%	-	-

გამოთვალეთ:

P დანახარჯთა ცენტრზე მიკუთვნებული Y მომსახურების დანახარჯთა ცენტრის ზედნადები ხარჯი	
P დანახარჯთა ცენტრზე მიკუთვნებული X მომსახურების დანახარჯთა ცენტრის ზედნადები ხარჯი	
სულ P დანახარჯთა ცენტრის ზედნადები ხარჯი	

კითხვა **24**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამონგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 3.00

v1 (latest)

საწარმოს ინფორმაციით, **N მასალაზე** შეკვეთის ეკონომიური მოცულობა 3 200 კგ. შესყიდვის ფასია 18 ლ/კგ. 1 კგ მასალის შენახვის საშუალო წლიური ხარჯი მისი შესყიდვის ფასის 3%-ია და ერთი შეკვეთის დანახარჯია 22 ლარი. **N მასალაზე** წლიური მოთხოვნა 23040 კგ-ია.

გამოთვალეთ:

საშუალო მარაგი (ერთეული)	
1 კგ მასალის შენახვის საშუალო წლიური ხარჯი (ლარი)	
შენახვის მთლიანი წლიური ხარჯი (ლარი)	

◀ დასკვნითი გამოცდა-მენეჯერული აღრიცხვა. I სემესტრი 2025-2026 წელი (hidden)

გადახტი შემდეგზე...

ნომერი 2 (hidden) ►